საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა ელაშვილი

საქართველოს მრეწველობაში უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვის პრობლემების გამოკვლევა

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა „ ტრანსპორტის და
მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი”
შიფრი 02

თბილისი
2018 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
სატრანსპორტო და მანქანაღმშენებლობის ფაკულტეტი
ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო დიდიშვილი

რეცენზენტები: პროფესორი გ. ტაბატაძე

ასოც. პროფესორი ჯ. შანიძე

დაცვა შედგება 2018 წლის „ 20 ” ივლისს 15^{00} საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო
საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი I, აუდიტორია 620
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას ქ. № 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებ გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
პროფესორი ნია ნათბილაძე

I. ნაშრომის ზოგადი დახასიათება

შესავალი

თემის აქტუალობა - ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პირობებში და მსოფლიო გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე საქართველო აღმოჩნდა ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე. ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების არასასურველი მდგომარეობა გამოიწვია ეკონომიკის განვითარების დაბალმა ტემპმა. წინასწარი მონაცემებით, 2017 წელს საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 4,8%, რაც არასაკმარისია ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად.

2012 წლის შემდგომ პერიოდში 4-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდაზე უფრო მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ ერთხელ, 2014 წელს იქნა მიღწეული(4,5%), ხოლო დანარჩენ წლებში ეკონომიკური ზრდა მხოლოდ 2-3 პროცენტიან შუალედში მერყეობდა.

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირ არის დამოკიდებული საბიუჯეტო თანხების მობილიზების მასშტაბებიც. ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, ეკონომიური ზრდის ყოველი ერთი პროცენტი უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 90 მილიონი ლარის მობილიზაციის შესაძლებლობას.

საქართველოში წარმოებული მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მხოლოდ 4000 აშშ დოლარამდეა და ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოს 186 ქვეყნიდან მხილოდ 113-ე ადგილზეა. რაც შეეხება თავის უახლოესი მეზობლებს, საქართველო მხოლოდ სომხეთს უსწრებს (116-ე ადგილი); დანარჩენ ქვეყნებს კი საქართველო ეკონომიკური განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩება (აზერბაიჯანი-89-ე, თურქეთი 67-ე, რუსეთი 64-ე ადგილი).

საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მიხედვით, ინვესტორი ქვეყნების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: აზერბაიჯანი (482.1 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (279 მლნ. აშშ დოლარი), გაერთიანებული სამეფო (250.4 მლნ. აშშ დოლარი), ნიდერლანდები (224.3 მლნ. აშშ დოლარი) და ჩეხეთი (133.8 მლნ. აშშ დოლარი). თუ გადავხედავთ ბოლო 10 წლის მონაცემებს, ეს ქვეყნები ინვესტორი ქვეყნების პირველ ხუთეულში ყოველთვის შედიოდნენ. ბოლო ათი წლის ჯამური მონაცემებით, ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 12% მოდის ნიდერლანდებზე, 11% - აზერბაიჯანზე, 10% - გაერთიანებულ სამეფოზე, ხოლო 7-7% თურქეთსა და აშშ-ზე.

უცხოური ინვესტიციები ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი გზაა. უცხოური ინვესტიცია ქვეყანაში ზრდის არსებული კაპიტალის მარაგს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს უფრო მაღალ მწარმოებლურობას და დასაქმების მაღალ დონეს. უცხოური ინვესტივიები ასევე საშუალებას აძლევს განვითარებად ქვეყნებს აითვისონ და გამოიყენონ უახლესი ტექნოლოგიები, რომელიც განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში იწარმოება და გამოიყენება. გამოკვლეულია, რომ საქართველო ეკონომიკის 5%-იანი ზრდით, ნახევარ საუკუნეშიც ვერ დაეწევა საშუალო ევროპულ დონეს. იმისთვის, რომ საშუალო ევროპული დონის ქვეყნებს 30 წელზე ნაკლებ დროში დავეწიოთ, საქართველოსთვის ეკონომიკის უფრო მაღალი ტემპით (მაგ. 10%-15%) ზრდა არის საჭირო .

გასარკვევია, საქართველოს ეკონომიკის რა სფეროებია რეალურად დატვირთული ინვესტიციებით, როგორია უცხოური ინვესტიციების დარგობრივი განაწილება და რა ეკონომიკური ეფექტი გააჩნიათ ამგვარად დაბანდებულ ინვესტიციებს? უცხოურ ინვესტიციებთან ერთად საჭიროა როგორც სამთავრობო, ისე კერძო დანაზოგების შექმნა და ასევე, შიდა ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელება. სამწუხაროდ, საქართველოს საზოგადოება და ეკონომიკა არ არის იმდენად მდიდარი, რომ გაიღოს საჭირო ინვესტიცია და შექმნას ყველასთვის სამუშაო

ადგილები. რა არის გამოსავალი, თუ თითო სამუშაო ადგილი 20-50 ათასი დოლარი ღირს და ამის ფული ჩვენ არ გვაქვს? გამოსავალი არის მხოლოდ ერთი რამ, ეს არის საერთაშორისო კომპანიების მოზიდვა და უცხოური ინვესტიციების განხორციელება საქართველოში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და ზრდის ტემპი საკმარისი არ არის ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად. აუცილებელია არსებულის აკუმულირება და მათი მიზნობრივი მიმართვა, იმავდროულად კი დამატებითი სახსრების მოზიდვა. უპირველეს ყოვლისა, ინვესტორს უნდა ვაჩვენოთ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი. იგი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ინვესტიციების ჩადება საქართველოში უსაფრთხო და მომგებიანია.

იმ მნიშვნელოვან პრობლემებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და აღორძინებაზე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს საინვესტიციო პოლიტიკა და მისი სწორად განსაზღვრა. ამდენად, აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს სწორედ ამ საკითხის შესწავლა, კვლევა, ანალიზი და შეფასება.

თემის აქტუალობა იმ გარემოებიდანაც გამომდინარეობს, რომ პრობლემა ეხება საქართველოს მრეწველობაში უცხოური ინვესტიციების მიზიდვის მიმართულებების კვლევას**.** ბუნებრივია, რომ საკითხი უნდა განვიხილოთ საქართველოს მრეწველობის სპეციფიურობის გათვალისწინებით. საჭიროა მოვძებნოთ მრეწველობის ისეთი მიმართულებები, რომ შედარებით პროდუქტიულმა ინდუსტრიებმა დაიწყონ განვითარება და როგორ დავარწმუნოთ უცხოელი ინვესტორი საქართველოს მრეწველობაში ინვესტიციების ჩადების პერსპექტივაში?
ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ბუნებრივი რესურსების და მრეწველობის საინვესტიციო მიმზიდველობის ანალიზს.

მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, კავკასიის ცენტრალური ნაწილი მდიდარია როგორც ლითონური, ისე არალითონური წიაღისეულით. მის ტერიტორიულ ფარგლებში ფორმირებულია მრავალფეროვანი ლითონური

სასარგებლო წიაღისეული; როგორიცაა ოქროს, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, მარგანეცის, რკინის, ალუმინის, დარიშხანის და ანთიმონიტის. მრავალფეროვანია არალითონური სასარგებლო წიაღისეულიც, რომელთაგანაც აღსანიშნავია ბარიტის, ცეოლითების, ბენტონიტური თიხების, დიატომიტების, კერამიკული ნედლეულის, მოსაპირკეთებელი ქვების, სანახელაო ქვების და აგროქიმიური ნედლეული. საქართველოს ტერიტორიაზე ლოკალიზებულია ასევე ენერგეტიკული რესურსების ფართო სპექტრი ნავთობის, გაზის, ნახშირის და თერმული წყლების სახით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიწისქვეშა მტკნარი წყლების დიდი მარაგი და მაღალხარისხიანი, მრავალრიცხოვანი მინერალური წყლები, რომელთა ეკონომიკური მნიშვნელობაც დროის პირდაპირპროპორციულად იზრდება.

ეს ყოველივე საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის არასრული ჩამონათვალია, რომელთა გონივრული და ოპტიმალური ათვისების და მართვის პირობებში, შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და შესაბამისად, მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მრეწველობაში უცხოური ინვესტიციათა მოზიდვის პრობლემების გამოკვლევა; ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებათა დადგენა; ისეთი ღონისძიებებისა და მეთოდების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ აღნიშნული გარემოს გაჯანსაღებას;

დასახული მიზნების მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი სახის **ამოცანები:**

- საქართველოს მრეწველობის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, არსებული მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით;

- საქართველოს მრეწველობაში ინვესტირების პროცესის ანალიზი, ინვესტიციების დარგობრივი და ტერიტორიული განაწილების გამოკვლევის მიზნით;
- საქართველოს სამრეწველო ბუნებრივი რესურსების ანალიზი, საქართველოს ეკონომიკის პოტენციალურ შესაძლებლობათა ჩამოყალიბების მიზნით;
- საქართველოს მრაწველობაში ინვესტიციების მოზიდვაზე მოქმედი მაკრო და მიკროეკონომიკური ფაქტორების გამოკვლევა, რათა დაზუსტდეს საქართველოს მრეწველობაში ინვესტიციების მოცულობის დაცემის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, საქართველოში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებთან;
- ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება, რათა განხორციელდეს მართვის ეფეტიანობის კავშირის კვლევა, მრეწველობის ეკონომიკურ ვარდნასთან მიმართებაში;
- საქართველოს მრეწველობაში უცხოური ინვესტიციების ზრდის მიმარ-თულებების დადგენა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების და არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევის მიზნით;

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი მნიშვნელობის კვლევა რეციპიენტი(მიმღები) ქვეყნის მრეწველობის ეკონომიკური ზრდისთვის.

კვლევის ობიექტია საქართველოს მრეწველობა და საინვესტიციო გარემო.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს ეკონომიკური თეორია წარმოადგენს; ზოგადად კი, თანამედროვე მენეჯმენტის, წარმოების ორგანიზაციის, დაგეგმვისა და მარკეტინგის თეორიები. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს.

კვლევაში გამოყენებულია როგორც უცხოელი და ასევე ქართველი მეცნიერების მიერ შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევები,

მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის მონოგრაფიები; სტატიები საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს ანალიზის შესახებ; შრომები ეკონომიკური კრიზისის გამოვლენისა და მისი აღმოფხვრის ცალკეული ასპექტების შესახებ. ნაშრომში გამოყენებულია მეცნიერული გამოკვლევის ანალიზისა და სინთეზის, სტატისტიკური, მათემატიკური, და სისტემური მიდგომის მეთოდები, აგრეთვე სხვადასხვა მეცნიერთა დებულებები. ჩატარდებულია საქართველოს საინვესტიციო გარემოს კვლევა SWOT და PESTEL ანალიზის საშუალებით.

კვლევის ძირითადი მეცნიერული სიახლეები:

1. გამოკვლეულია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული მოტივაციები და შეფასებულია მათი ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ქვეყნისა და მრეწველობის დარგების მახასიათებლების გათვალისწინებით.

2. საქართველოს სამრეწველო ბუნებრივი რესურსების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილია საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი, პრიორიტეტულ დარგებში ინვესტიციების სტიმულირების მიზნით.

3. საქართველოს მრეწველობის სპეციფიურობიდან გამომდინარე, გაანალიზებული და გამოვლენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმაპირობებელი ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები.

4. განხორციელდა უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევა და შეფასდა მართვის ეფეტიანობის კავშირი მრეწველობის ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში; გაანალიზებულია და დადგენილია ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმებს შორის არსებული კავშირები.

5. გაანალიზებული არის საერთო ინტეგრალური რისკები (საკანონმდებლო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური, კრიმინალური და ეკოლოგიური) და შემოთავაზებულია მათი დაძლევის პრაქტიკული რეკომენდაციები.

6. დადგენილია უცხოური ინვესტიციების ზრდის მიმართულებები საქართველოს მრეწველობაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების და საბოლოოდ, კრიზისის დაძლევის მიზნით;

7. გაანალიზებულია, თუ რამდენად დიდია ინვესტიციების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში და ინვესტიციების მოზიდვის მხრივ, რომელი სექტორები იყო წამყვანი. დადგენილია, როგორი დამოკიდებულება არის ინვესტიციების ოდენობის ზრდასა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის შემოსავალს შორის. საბოლოო ჯამში, რამდენად სწორად ნაწილდება ინვესტიციები და რამდენად ადექვატურია ინვესტიციური ნაკადების დინამიკა, რომელ სექტორში არის ყველაზე დიდი მატება და ა.შ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგები და დასკვნები როგორც მეთოდური სახელმძღვანელო მასალა, შეიძლება გამოყენებული იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში; პრაქტიკული რეკომენდაციები კი, მნიშვნელოვნად დაეხმარება სამთავრობო ინსტიტუციებს განვითარების კურსის განსაზღვრისა და მისი კორექტირების საქმეში. აღწერილი ღონისძიებების პრაქტიკულმა განხორციელებამ, მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს ქვეყნის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, რაც გამოიხატება როგორც ახალი საწარმოების დაფუძნებაში, ასევე უკვე არსებული ბიზნესების გაფართოებასა და დივერსიფიცირებაში, მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებასა და უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდაში, მწარმოებლურობის დონის ამაღლებასა და საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესებაში.

კვლევის შედეგების აპრობაცია: პუბლიკაციები 5 ნაშრომის სახით გამოქვეყნებულია სერტიფიცირებულ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში. მოხსენებულია სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე და საერთაშორისო კონფერენციაზე „საზღვაო ინდუსტრიის ინოვაციური გამოწვევები“ .

ნაშრომი აპრობირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტში და მსვლელობა მიეცა საჯარო დაცვისათვის.

არსებობს მიღებული თეორიული შედეგების და პრაქტიკული რეკომენდაციების დახვეწისა და გამდიდრების პერსპექტივა. მიღებული შედეგები გავრცელდება კვლევის შემდგომ პერიოდში ჩატარებული ერთობლივი სემინარებით, პრეზენტაციებით, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებით და სართაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გზით(ლექცია, სემინარი, საკონფერენციო თეზისი, პუბლიკაცია და სხვა).

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შესრულებულია 160 გვერდზე, რომელიც შედგება შესავლის, ორი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომს თან ერთვის 4 ცხრილი და 18 ნახაზი(დიაგრამების და გრაფიკების სახით).

II. ნაშრომის მოკლე შინაარსი

შესავალში მოცემულია საკვლევი თემის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება იმისა, თუ რატომ არის საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალური; განსახორციელებელი ამოცანების მეცნიერული სიახლის აღწერა; პრობლემის ფორმულირება. აღწერილია ასევე კვლევის მიზნები და ამოცანები; ჩამოთვალილია და მოკლედ არის აღწერილი შესასრულებელი ამოცანები და ეტაპები პროექტის საბოლოო მიზნის მისაღწევად, მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით. აღწერილია ინოვაციური მიდგომები, კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; გადმოცემულია პროექტის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები და მათი გადაწყვეტის გზები. აღწერილია ასევე, კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება ქვეყნისთვის, კონკრეტული რეგიონისთვის და დარგისათვის;

დასაბუთებულია ნაშრომის დასრულების შემდეგ დაწყებული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა.

I თავში განხილული არის ინვესტირების პრობლემატიკა სამეცნიერო კვლევებში. გაშუქებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. მოცემულია ინვესტიციების მრავალმხრივი კლასიფიკაცია და გაანალიზებულია თანამედრივე ინვესტიციური ნაკადების მოცულობა და სტრუქტურა.

ინვესტიცია თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი მაწილია, იგი არის მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკაზე დაკვირვებით ნათლად ვხედავთ, რომ ყოვლად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება. ინვესტიციები უზრუნველყოფენ კვლავწარმოების უწყვეტობას, ხელს უწყობენ ასევე საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას; მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არის დერეფანი კავკასიისა და ცენტრალური აზიისთვის და წარმოადგენს რეგიონის ხერხემალს, საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, რაც საშუალებას აძლევს ქვეყანას მიიღოს სატრანზიტო დერეფნიდან სოლიდური შემოსავლები, ეს კი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან განავითარებას. ევროპული ქვეყნებისთვის უფრო ხელსაყრელია, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთერთობა იქონიონ სამხრეთ კავკასიაში მდებარე საქართველოს გავლით, მაგრამ ამისდა მიუხედავად, თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო ბაზარს, წლების განმავლობაში დავინახავთ მეტად ცვალებად ციფრებს, ინვესტირების წლიური მაჩვენებლის ასეთ მკვეთრ ცვალებადობას ისევ ჩვენი ქვეყნის არამდგრადი ეკონომიკა იწვევს. ეს კი ქართულ ეკონომიკასა და მოსახლეობაზე საკმაოდ მკაფიოდ აისახება.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის საქართველო ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა და პოსტ საბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, ის ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისითაც არავის უთმობს პირველობას.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკაზე დაკვირვებით ნათლად ვხედავთ, რომ ყოვლად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება. ინვესტიციები უზრუნველყოფენ კვლავწარმოების უწყვეტობას, ხელს უწყობენ ასევე საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას; მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. ინვესტიციები სახელმწიფოს კრიზისის პირობებში წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და ბაზრისადმი მისი დაქვემდებარების გზაზე.

სამწუხაროდ, ზოგიერთი სახის ინვესტირებისას, ადგილი აქვს ღირებული აქტივების ყიდვა–გადაყიდვას, შემდგომში კაპიტალის მნიშვნელოვანი დაბანდებებისა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის გარეშე. ასეთი სახის ინვესტიციების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, მადნეულის, ჭიათურმანგანუმის, ზესტაფონის ფეროს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ფოთისა და ბათუმის პორტებისა და ტერმინალების, „თელასის“, „ბორჯომისა“ და სხვ. საწარმოების შესაძენად ჩადებული ინვესტიციები. რომლის შედეგად ქვეყნის შიგნით შეიქმნა ეროვნული ეკონომიკის ალტერნატიული ეკონომიკა, უცხოური ფირმების მონაწილეობით, რომლებიც თავისი მასშტაბებით აჭარბებენ ეროვნულ ეკონომიკას.

მართალია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარეშე ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება, მაგრამ ჯერ ერთი, ის უნდა იყოს ნამდვილად ახალ სამრეწველო საწარმოებში ჩადებული პირდაპირი ინვესტიცია და

მეორეც, გარკვეული საზღვრები უნდა იქნას დაცული. ქვეყანამ, რომლის ლამის მთავარი ეკონომიკური ფუნქცია სატრანსპორტო დერეფანია, ამ დერეფნის საკვანძო ობიექტები – ბათუმისა და ფოთის პორტები თავის ტერმინალებთან ერთად, არ შეიძლება გაასხვისოს.

ახალმა ეპოქამ ჩვენს ქვეყანას მოუტანა ახალი ეკონომიკური სისტემის მშენლობის აუცილებლობა, რამაც საქართველო ურთულესი ეკონომიკური პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების წინაშე დააყენა. საუბარია სრულფასოვანი რეფორმის გატარებაზე, რომელიც გულისხმობს სტაბილიზაციას, ინფლაციის დაძლევას, საფინანსო-საბანკო სისტემის გამყარებასა და ეროვნული ვალუტის დამკვიდრებას. საქართველოში შეიქმნა აუცილებელი პირობები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის და შემდგომი განვითარებისათვის. ამ პროცესმა კი ნათლად დაგვანახვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების სრულფასოვან განვითარებას, რომელიც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად იქნება მიმართული. ჩვენი ქვეყნისათვის ინვესტიციის არსსა და მნიშვნელობაზე წლების განმავლობაში დაიწერა მრავალი ნაშრომი, მოხდა კონსტიტუციური ცვლილებები, რის შედეგადაც დღეს-დღეისობით ჩვენი ქვეყანა მოწინავე ადგილს იკავებს კანონის ლიბერალურობით და დაუსრულებელი დისკუსია მიმდინარეობს ამ საკითხთან დაკავშირებით. ახალმა ეპოქამ ჩვენს ქვეყანას მოუტანა ახალი ეკონომიკური სისტემის მშემენლობის აუცილებლობა, რამაც საქართველო ურთულესი ეკონომიკური პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების წინაშე დააყენა. საუბარია სრულფასოვანი რეფორმის გატარებაზე, რომელიც გულისხმობს სტაბილიზაციას, ინფლაციის დაძლევას, საფინანსო-საბანკო სისტემის გამყარებასა და ეროვნული ვალუტის დამკვიდრებას. საქართველოში შეიქმნა აუცილებელი პირობები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის და შემდგომი განვითარებისათვის. ამ პროცესმა კი ნათლად დაგვანახვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების

სრულფასოვან განვითარებას, რომელიც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად იქნება მიმართული. ჩვენი ქვეყნისათვის ინვესტიციის არსსა და მნიშვნელობაზე წლების განმავლობაში დაიწერა მრავალი ნაშრომი, მოხდა კონსტიტუციური ცვლილებები, რის შედეგადაც დღეს-დღეისობით ჩვენი ქვეყანა მოწინავე ადგილს იკავებს კანონის ლიბერალურობით და დაუსრულებელი დისკუსია მიმდინარეობს ამ საკითხთან დაკავშირებით. ინვესტირებასთან დაკავშირებით წლების მანძილზე, ჩვენმა ქვეყანამ განიცადა მნიშვნელოვანი ევოლუცია.

ინვესტიციების და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, გასული ათწლეულის ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო, მაგრამ მაინც ვერ მოახდინა დასაქმების ხელშეწყობა და საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; „ეკონომიკური ზრდის შედეგებმა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილამდე ვერ მიაღწია და სიღარიბის მაჩვენებლები კვლავ მაღალია.

II თავი - შედეგები და მათი განსჯა შედგება ხუთი ქვეთავისაგან. მასში მოცემულია საქართველოს მრეწველობის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. განხილულია როგორც ადრეული სამრეწველო პოტენციალი, ასევე დღეისათვის არსებული მდგომარეობა. შეფასებულია ქვეყანაში არსებული სამრეწველო სიმძლავრეები და სამომავლო პერსპექტივები.

ჩატარებულია ინვესტირების პროცესის ანალიზი საქართველოს მრეწველობაში. გაშუქებულია საინვესტიციო ნაკადების დინამიკა და დარგობრივი სტრუქტურა. გამოვლენილია უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი სფეროები და დადგენილია ინვესტირების შესაძლო პერსპექტიული დარგები საქართველოს მრეწველობში.

ჩატარებული არის კვლევა საქართველოს მრეწველობაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე მოქმედი მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორების გამოვლენის მიზნით. განხილულია ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები და შეფასებულია ურთიერთ

დამოკიდებულება უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპებსა და მშპ-ს ზრდის მოცულობას შორის. განხილულია ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები და გაანალიზებულია ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ხდება ინვესტიციების ეფექტიანობის გაანგარიშება:

- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელი(Weighted average cost capital – WACC).

$$WACC = r_e \times E/V + r_d \times D/V \times (1-t)$$

- კაპიტალის აქტივების შეფასების მოდელი (CAPM).

$$r_e = R_f + \beta^*(R_m - R_f)$$

- უკუგების შიდა განაკვეთი, რენტაბელობის შიგა ნორმა (IRR).

ასევე, დადგენილი და შეფასებულია მათ შორის არსებული კავშირები.

მათ შორის კავშირი ასეთია:

თუ რენტაბელობის შიდა ნორმა IRR >კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებაზე (WACC), პროექტი მიღებული უნდა იქნას. ხოლო თუ IRR< WACC, პროექტი დაწუნებული უნდა იყოს.

იმ შემთხვევაში თუ IRR = WACC, მაშინ პროექტი ფირმას არც მოგებას მისცემს და არც ზარალს.

საერთოდ, მიღებული გათვლებით NPV - წმინდა დისკონტირებული ღირებულება თუ დადებითია, ეს ნიშნავს, რომ პროექტი მისაღებია და ამასვე თუ ადასტურებს უკუგების შიდა განაკვეთიც (IRR), რომელიც დისკონტირების განაკვეთზე მაღალია, მითუმეტეს რომ პროექტი მისაღებია.

მრეწველობა მატერიალური სფეროს საკმაოდ განვითარებადი დარგია. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს აუცილებელი პირობების შექმნა მრეწველობის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის და მისთვის ხელშეწყობის მიზნით, განავითაროს მთელი რიგი პრიორიტეტული მიმართულებები, ისეთები როგორიცაა: ერთიანი ბაზრის გაძლიერება, სამრეწველო მოთხოვნილებების გათვალისწინება კვლევის პოლიტიკაში,

საზოგადოების საინფორმაციო განვითარება, სამრეწველო თანამშრომლობის ხელშეწყობა და სხვა.

ეკონომიკური მრეწველობა ისეთი საქმიანობაა, რომლის წარმატებულ ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული მოსახლეობისა და მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობა. მრეწველობის განვითარებისთვის და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისთვის ერთ-ერთი აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძირითადი - მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორების სტაბილურობა და სასურველი დონის შენარჩუნება. დღემდე არსებული ყველა ეკონომიკური მეცნიერებათა მიმართულებები, ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებად, უფრო ხშირად წარმოებული პროდუქციის მოცულობას, ინფლაციას და უმუშევრობის დონეს იყენებენ. ნაშრომის წარმოდგენილი ნაწილი სწორედ აღნიშნული ფაქტორების კვლევას, ანალიზსა და შეფასებას ეხება. მრეწველობის ძირითადი მახასიათებლები გრაფიკულად, ზოგადად ასე გამოიყურება:







წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მრეწველობის სექტორი ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუ ამჟამინდელ მდგომარეობას შევადარებთ 1975-1980 წლების საქართველოს მრეწველობას, დავინახავთ რომ შეჩერებული ან მთლიანად გაუქმებულია საკმაოდ ბევრი დარგი, ხოლო ისეთი დარგი, როგორიცაა მსუბუქი მრეწველობაა - უკიდურესად შემცირებულია; განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მანქანათმშენებლობის დარგში.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. ქვეყნის განვითარების სტრატეგიის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობის მიღწევა წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, ფისკალური დისციპლინა, ფასების სტაბილურობა, და მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, უმუშევრობის დაბალი დონე, ზომიერ სიდიდემდე მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანდათანობით შემცირება და ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება, ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

მაკროეკონომიკური, ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკა, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური მიზნების განხორციელების,

სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობას. მაკროეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკური ქცევის თავისებურებებს, სწორედ მასზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებების შემუშავებაც და განხორციელებაც. საერთოდ, მაკროეკონომიკა განსაზღვრავს ეკონომიკურ ქცევებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მოხმარებისა და ინვესტიციების მოცულობაზე, სავალუტო კურსზე, სავაჭრო ბალანსზე, აგრეთვე აერთიანებს ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ სახელმწიფო ბიუჯეტი, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, ნაღდი ფულის მასის მოცულობა, სახელმწიფო ვალი, ფასებისა და ხელფასების ცვლილება, პროცენტის განაკვეთის ცვლილება.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა იმგვარად უნდა იყოს შემუშავებული, რომ მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის მიღწეულ იქნას სწორედ მაკროეკონომიკური პარამეტრების მდგრადობა.

უცხოური კაპიტალის მოზიდვა და გამოყენება საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების, განვითარების და ეკონომიკური აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

საბაზრო ეკონომიკის მოცემულ ეტაპზე რეალურად არაა ჩამოყალიბებული ქართველ ინვესტორთა მძლავრი ფენა, რომელიც მსხვილმასშტაბიანი საინვესტიციო პოლიტიკის წარმოებას მოახდენს საქართველოში. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტური განვითარების ორგანიზაცია. ეს კი, დიდად შეუწყობს ხელს საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების დაბალანსებას, მრეწველობის დარგის აღორძინებასა და განვითარებას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ეკონომიკურ ზრდას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განვითარებისა და ეფექტიანი გამოყენების მეცნიერულ-პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, ამ ფონზე მეტად აქტიურია და დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, აუცილებელია მოხდეს საინვესტიციო პოლიტიკის სწორად შემუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს შევძლოთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამიტომაა მნიშვნელოვანი საქართველოში სასურველი საინვესტიციო გარემოს შეიქმნა. ეს, უპირველეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ იყოს სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, რაც ინვესტორებს მისცემს გარანტიას ინვესტიციის ნორმალური განხორციელებისათვის, იყვნენ დაცულები კორუფციისგან, ინფლაციისგან და სხვა უარყოფითი მოვლენებისგან. ასევე აუცილებელია შევქმნათ სწორი კონკურენტუნარიანი ბაზარი, რაც საშუალებას მისცემს ინვესტორს ინვესტიციის ეფექტურ განხორციელებასა და ჩადებული კაპიტალის სწრაფ უკუგებაში; უნდა შეიქმნას სწორი საგადასახადო სისტემა, რაც ინვესტირებისთვის ერთგვარი მასტიმულირებელი საშუალება იქნება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპი უნდა იყოს, ეფექტიანი და გამჭვირვალე მთავრობის პირობებში, კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა. ეს კი გულისხმობს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, სადაც კერძო სექტორი თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში, დაცულია მისი საკუთრების უფლების უზენაესობა და კერძო სექტორი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას. სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერთოს სამეწარმეო საქმიანობაში და კერძო სექტორს კონკურენცია არ უნდა გაუწიოს. სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ აქტივობაში მხოლოდ იმ საქმიანობით უნდა შემოიფარგლოს, სადაც კერძო სექტორი სუსტი და არაეფექტიანია.

მსოფლიო ბანკის 2017 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (დაახლოებით 4000$-იანი მაჩვენებლით), სომხეთთან ერთად დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება. იმისთვის, რომ საქართველომ დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფიდან, უფრო მაღალი შემოსავლის მქონე

ქვეყნების ჯგუფში მოკლე დროში გადაინაცვლოს, ამისთვის საჭიროა უზრუნველვყოთ ეკონომიკის მაღალი რეალური ზრდის ტემპები, რომელიც წარმოუდგენელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე.

ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეწარმეო სექტორი და საგრძნობი წვლილი შეაქვს მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

უცხოური ინვესტიციები, ბოლო წლებში, ხასიათდება სტაბილური მაჩვენებლით.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინვესტიციის რეალურ სიდიდეს უჩვენებს არა ნომინალური გამოსახულება, არამედ მისი თანაფარდობა მშპ-თან. ამ მხრივ, სურათი ასეთია:



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

 მაკროეკონომიკური მაჩვენებლების უპრეცედენტობის შესაფასებლად, მხოლოდ ამ მონაცემების აბსოლუტურ რიცხვებში გაზომვა არ არის საკმარისი. რეალური სიდიდის შესაფასებლად, აუცილებელია ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართება ქვეყნის

მთლიან შიდა პროდუქტთან, რათა მკაფიოდ დავინახოთ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიმართებით მიღებული სარგებლის რეალური ეფექტი.

ქვეყნის თანაბარი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია უცხოური ინვესტიციებისადმი ქვეყნის გახსნილობა. ფინანსური გახსნილობის პარალელურად, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრირებითა და ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირებით საჭიროა მიმზიდველობის უზრუნველყოფა.

საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა გახდეს და ამავდროულად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად იქცეს.

საქართველოში არსებული ეკონომიკის საერთო დონიდან გამომდინარე, საინვესტიციო პროცესების მთავარი ინიციატორი პირველ რიგში სწორედ სახელმწიფო უნდა იყოს. ქვეყნის ეკონომიკაში ცალკეული პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სექტორების აღორძინებისათვის გადადგმული ნაბიჯები იქნება ის უმთავრესი სტიმული, რომელიც ქვეყანაში შექმნის სტაბილური განვითარების დაწყების პრეცედენტს.

დისერტაციის დასკვნით ნაწილში, უცხოური ინვესტიციების როლის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს მრეწველობის განვითარებისთვის, შემოთავაზებულია მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთა გონივრული ათვისებისა და ოპტიმალური მენეჯმენტის პირობებში, სარგებლობას მოუტანს, როგორც სამრეწველო სექტორის, ასევე მთლიანად საქართველოს ეკონომიკის წინსვლას და აღორძინებას.

ძირითადი დასკვნები

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ რჩება განვითარებად ქვეყნებში ქსელის რესურსების უდიდეს კომპონენტად, ხოლო 1990 წლიდან ამ ქვეყნებში მთლიანი ინვესტიციების მზარდი ნაწილია. საქართველოს მრეწველობის მინიმალური ზრდა, ძირითადად გამოწვეულია მრეწველობის დარგების ექსტენსიური ზრდით, რაც ნიშნავს გამოყენებული რესურსების რაოდენობის შესაბამისად დოვლათის (სიმდიდრის) გადიდებას შრომის დანახარჯების, ძირითადი კაპიტალისა (შენობა-ნაგებობანი, მანქანა-იარაღები, უახლესი ტექნოლოგია და სხვ.) და საბრუნავი კაპიტალის (ნედლეულის, მასალების, ენერგიის და სხვ.) ზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის ტემპი მოხმარებული რესურსების რაოდენობის გადიდების ტემპის ტოლია.

საქართველოს მრეწველობისთვის და ზოგადად ეკონომიკისთვის საჭიროა ინტენსიური ზრდა. ინტენსიური ეკონომიკური ზრდა კი წარმოების ეფექტიანობის, ანუ რესურსების გამოყენების გაუმჯობესებით და შედეგიანობის გადიდებით მიიღწევა. მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად სჭარბობს ინტენსიური ფაქტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში, აუცილებელია საინვესტიციო პოლიტიკის სწორად შემუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს შევძლოთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამიტომაა მნიშვნელოვანი საქართველოში სასურველი საინვესტიციო გარემოს შეიქმნა. ეს, უპირველეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ იყოს სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, რაც ინვესტორებს მისცემს გარანტიას ინვესტიციის ნორმალური განხორციელებისათვის, იყვნენ დაცულები კორუფციისგან, ინფლაციისგან და სხვა უარყოფითი მოვლენებისგან. ასევე აუცილებელია შევქმნათ სწორი კონკურენტუნარიანი ბაზარი, რაც საშუალებას მისცემს ინვესტორს ინვესტიციის ეფექტურ განხორციელებასა და ჩადებული კაპიტალის სწრაფ უკუგებაში; უნდა შეიქმნას სწორი საგადასახადო სისტემა, რაც ინვესტირებისთვის ერთგვარი მასტიმულირებელი საშუალება იქნება.

2. ემპირიულ კვლევათა უმრავლესობა, რომელიც ეხება მასპინძელ ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების როლსა და მნიშვნელობას ცხადყოფს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობენ განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის შედინებას, უზრუნველყოფენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მენეჯერული ნოუ-ჰაუსა და მარკეტინგული უნარების მეშვეობით ტექნოლოგიების შემოდინებას და მისი გავლენით ეფექტიანი ბაზრების განვითარებას.

3. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პირდაპირ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, მას საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა უარყოფითი გავლენა ქონდეს მიმდინარე ანგარიშზე. უცხოური ინვესტიციები ხშირად ახალისებს იმპორტს და თუ ის საექსპორტო პროდუქტის წარმოებაზე არ არის მიმართული, მაშინ გააუარესებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს.

4. უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრეს დადებით ეფექტს წარმოადგენს მიმღებ ქვეყანაში, სხვა სექტორებზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გადადინების ეფექტი. თანამედროვე და გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე წვდომის საშუალებით ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გაზრდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის ასევე ადგილობრივი კომპანიების R&D ინიციატივებს; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადგილობრივ ბაზარზე ზრდის კონკურენციის დონეს და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას; ზრდის ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებსა და რესურების უფრო ეფექტიან გადანაწილებას.

5. უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ქონდეს უარყოფითი შედეგიც. მაგალითად, ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების მიმართულებით ხორციელდება ინვესტიციები, ადგილობრივი კომპანიები ხვდებიან მნიშვნელოვანი კონკურენციის პირობებში, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები, დაბალი ზღვრული დანახარჯის

გამო ზრდიან წარმოების მოცულობას და იზიდავენ მომხმარებელს. მიუხედავად განხილული ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტებისა, ითვლება რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა დადებითია მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულად სარგებლობენ მოზდული ინვესტიციებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, თავისთავად არ წარმოადგენენ უპირატესობას ან ნაკლოვანებას, მისი ეფექტი მიმღებ ქვეანაზეა დამოკიდებული.

6. ნაშრომში განხილული უცხოური და ადგილობრივი წყაროების ანალიზი და მოყვანილი ემპირიული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითად აისახება მასპინძელი ქვეყნების განვითარებაზე. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარები აზრით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაძლებელი პოტენციურ რისკები. კაპიტალის მთლიან შემოდინებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალი წილი, შეიძლება ასახავდეს მიმღები ქვეყნის ინტიტუტების სისუსტეს და არა მათ ძალას. როგორც ავღნიშნეთ, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიმართებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული სარგებლის რეალური ეფექტი, ყოველთვის ერთნაირი არ არის და დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების ხარისხზე.

მთავრობის როლი მდგომარეობს მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური გავლენის შეფასებაში. სასარგებლო ინვესტიციები უნდა წახალისდეს, ხოლო საეჭვოზე უარი უნდა ითქვას. როგორც ჩანს, სამწუხაროდ ახლო წარსულში, ინვესტიციების მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ ყოფილა.

7. მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის ზრდით ან შემცირებით, ეკონომიკურ განვითარებაზე მსჯელობის ნაცვლად, უმჯობესია თუ პოლიტიკოსები უფრო ღრმად გაანალიზებენ ამ ინვესტიციების ბუნებას. ეს ის შემთხვევაა, როცა მარტო რიცხვითი მაჩვნებელებით მსჯელობა არც ისე გონივრულია. ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაფართოებას

ცდილობენ, კონცენტრირებული უნდა იყვნენ აღსრულების სანდო მექანიზმების ჩამოყალიბებაზე და არა მხოლოდ მეტი FDI მოზიდვაზე". პოლიტიკური განვითარებადმა ქვეყნებმა რეკომენდაციების მიღებისას, მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე. მეწარმეობის განვითარებისთვის აუცილებელია მაკროეკონომიკური გარემოს ღრმა ანალიზი, რომელშიც აღნიშნული დარგი ვითარდება და მაკროეკონომიკური ფაქტორების გამოვლენა, რომელიც ახდენს მასზე როგორც დადებით, ასევე უარყოფით გავლენას; გარდა ამისა აუცილებელია, მათი გავლენის გაზომვა და შეფასება. აღნიშნული ანალიზის ჩატარების შემდგომ უნდა მოხდეს დარგის დაფინანსების წყაროების შერჩევა.

8. ინვესტიციების მოზიდვის გაზრდის პერსპექტიულ მიმართულებათა კვლევისას, აუცილებელია გამოვავლინოთ და შევამციროთ არსებული ხელისშემშლელი პირობები. ინვესტორებს მივცეთ ის სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც უკავშირდება მათ ხელშეუხებლობას, კაპიტალის დაბანდებას, მოგების და დივიდენდების თავისუფლად გადაგზავნას საზღვარგარეთ და სხვა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, აუცილებელია გამოვიყენოთ წამახალისებელი მოტივები. მათ შორისა, საგადასახადო შეღავათები, იმპორტის გადასახადის დაბალი ტარიფები, უცხოური პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების გამარტივებული წესები, შედარებითი ავტონომია მენეჯმენტისათვის. არ უნდა შეექმნას ბიზნესს ხელოვნური ბარიერები. რომელებიც ინვესტორებისთვის უარყოფითი გზავნილის მატარებელია.

9. საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანია სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო პროცესი. შესაბამისად, ხელისუფლება რასაც დაგეგმავს, ყველა იმ რეფორმის შესახებ ინფორმირებული და ჩართული უნდა იყოს ყველა მხარე, ვისაცშეეხება ცვლილებები; სასურველია, არ იყოს ძალიან ხანგრძლივი, ბიზნეს გარემოსთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხების რეფორმირების პროცესი, რათა

სამიზნე ჯგუფებმა ადვილად დაძლიონ გარდამავალი პერიოდი და დროულად მოახდინონ ახალ რეალობასთან ადაპტაცია; ხელისუფლებამ თავი მაქსიმალურად უნდა შეიკავოს ისეთი კანონების მიღებისაგან, რომლებიც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს უწესებენ გაუმართლებელ შეზღუდვებს და აფერხებენ მათ განვითარებას. ხელისუფლებამ უნდა შეიკავოს თავი ისეთი რეგულაციების მიღებისგან, რომლებიც კონკრეტულ ბაზრებზე ზღუდავს კონკურენციას და უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ცალკეულ კომპანიებს.

10. ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ვალუტა მყარია იმ ქვეყანაში, სადაც პირდაპირი ინვესტიციები რეალურად ხორციელდება, ეკონომიკა დივერსიფიცირებულია, შენდება ეკონომიკის საფუძველი – მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები და იწარმოება კონკურენტუნარიანი სამრეწველო პროდუქცია, სადაც ექსპორტი იმპორტზე მეტია და ბიუჯეტის შემოსავლები აჭარბებს ხარჯებს. სავარაუდოდ, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ჩვენი ქვეყნის წარუმატებლობისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენებაში მდგომარეობს.

სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებული შრომების ჩამონათვალი

1. დავით შანიძე, იასონ ამანათაშვილი, თენგიზ დიასამიძე, **ნანა ელაშვილი**, მრეწველობა და მისი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა", N2(33) 2015. გვ. 116-127.
2. იასონ ამანათაშვილი, თენგიზ დიასამიძე, ნათელა დუმბაძე, მარინა დიასამიძე, **ნანა ელაშვილი**. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენების პერსპექტივა საქართველოს საზღვაო პორტების მენეჯმენტის ოპტიმიზაციის პრობლემებში. საერთაშორისო კონფერენცია „საზღვაო ინდუსტრიის ინოვაციური გამოწვევები“ შრომების კრებული. საქართველო, ბათუმი, 2015, გვ. 195-201.

3. **ნანა ელაშვილი**, ინვესტირების პროცესის ანალიზი საქართველოს მრეწველობაში. სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. სტუ, ივნისი, მოხსენებათა თეზისები, 2017.
4. ნანა ელაშვილი. მრეწველობაში ინვესტიციების მოზიდვაზე მოქმედი მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორების კვლევა. სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. სტუ, მოხსენებათა თეზისები, ივნისი, 2017.
5. **ნანა ელაშვილი.** უცხოური ინვესტიციები და საქართველოს მრეწველობის გამვითარების პერსპექტივა. ISSN 1512-2530. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტუალი, N34, გვ. 191-196., 2017.
6. იასონ ამანათაშვილი, **ნანა ელაშვილი.** მრეწველობაში ინვესტიციების მოზიდვაზე მოქმედი მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორების შეფასება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა", N3 (40), გვ. 59-67, 2017.
7. იასონ ამანათაშვილი, **ნანა ელაშვილი**, მიხეილ ამანათაშვილი, ინვესტიციების გამოყენების ეფექტურობა და მისი პროგნოზირება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა", N1 (41), გვ. 169-199, 2018.

Abstract

Dissertation work - "Study of the Problems of Attracting Foreign Investments in the Industry of Georgia" - is presented on the computer with 160 pages and includes introduction, literature, results, and their judgment, conclusion and list of used literature.

The introduction provides a brief overview of the research topic; The reason why the issue is important and actual; Problem wording; Novelty of research, goals and objectives; Topicality of the problem and research novelty; Research subject and objectives; Research methods and expected outcomes; Compliance of research methods with the objectives of the project; Expected outcomes of the

research and their significance for scientific direction/directions of the research;

The Chapter I discussed is the problem of investing in scientific research. Theoretical-methodological basis of direct foreign investments is covered. The multilateral classification of investments is given and the volume and structure of invested flows are analyzed.

CHAPTER II - The results and their judgments consist of five sub sections. It contains technical-economic analysis of the Georgian industry. It is considered as an early industrial potential, as well as the current situation. Industrial capacity and future prospects in the country are estimated.

Analysis of the investment process in the Georgian industry was conducted. The dynamics and sectoral structure of investment flows are covered. The attractive spheres for foreign investors have been identified and the possible potential investments in the Georgian industry.

Practical recommendations and results obtained in the Dissertation Survey are summarized in the conclusion:

Intensive growth is needed for the Georgian industry and general economy. Which can be achieved by improving production efficiency, or improving the use of resources.

It is necessary to develop the investment policy correctly, which will enable us to attract foreign investments.

Most empirical studies relating to the role and importance of foreign investment in the host countries shows that foreign direct investment in developing countries will contribute to the inflow of capital, provide new jobs, managerial know-how and marketing skills through technology and its influence on the flow Pektiani markets development.

One of the major positive effects of foreign investments is the effect of significant technological breakthroughs in the receiving country, other sectors. Local companies can maximize their productivity by accessing modern and

improved technologies. Foreign direct investment increases as well as local companies' R & D initiatives; Direct foreign investments increase the level of competitiveness in the local market and in this way promote high productivity; Increases innovations, relatively low prices and more efficient redistribution of resources.

Foreign investments may have negative consequences. For example, the effect of the expulsion of local investments.

Despite contradictory effects, it is considered that the impact of direct foreign investments is positive on the receiving country's economy, but different countries use differentially with investments. Direct foreign investments do not necessarily represent a superiority or deficit, its effect depends on the receiving sequence.

Analysis of foreign and local papers reviewed in the work and empirical evidences illustrate that direct foreign investments are positively reflected on the development of host countries. But some researchers think that potential risks should be considered. High share of direct foreign investments in the total inflow of capital may reflect the weaknesses of the institutions of the receiving country and not their power.

The real effect of benefits derived from direct foreign investments is not always the same and depends on the quality of attracted investments.

The role of the government lies in the assessment of the economic influence of foreign direct investments. Useful investments should be encouraged, and it should be denied the doubt.

Countries that are trying to expand access to international capital markets should concentrate on establishing reliable mechanisms of enforcement and not just more FDI attractions. "While developing countries are encouraged to draw on the recommendations, they should focus more on improving the investment climate.

In order to attract foreign direct investment, it is necessary to use motivational motives. Among them are tax breaks, low tariffs of import taxes, simplified rules

for acceptance and release of foreign personnel, comparative autonomy for management. The artificial barriers to the business that are favored are a negative message for investors.

The national currency of any country is strong in the country where direct investments are realized, the economy is diversified, where the economy is based on large factory-factories built and produced by competitive industrial products where exports are higher than the import and budget revenues. One of the main reasons is the failure of our country and the use of direct foreign investment indirectly.